



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 24

„სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული საცავების დროებით დახურვის თაობაზე“ სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 6 მარტის N18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

25 მარტი, 2020 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული საცავების დროებით დახურვის თაობაზე“ სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 6 მარტის N18 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - 2020 წლის 9 მარტიდან 25 აპრილამდე დაიხუროს „სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ხელნაწერთა დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტში შემავალი საცავები და სამკითხველო დარბაზი“.
- დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილებას ამ ბრძანების სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.manuscript.ge) გამოქვეყნება.
- დაევალოს სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.
- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დირექტორი



ზაალ აბაშიძე